



Legal Standards for Compliance with the Terms of Imprisonment and Their Extension

Nino Taktakishvili¹

PhD student, Caucasus International University

ABSTRACT

The observance of terms of imprisonment and the legal standards for their extension are one of the important issues in the Criminal Procedure Code of Georgia. The study of this issue aims to assess the legal regulation, practice and compliance of terms of imprisonment, both in Georgia and in light of the standards of the European Court of Human Rights (ECHR).

Imprisonment is the most severe preventive measure, the inappropriate use of which is accompanied by the risk of violating fundamental human rights. In the Georgian justice system, as well as at the international level, the indefinite extension of terms of imprisonment is a particular problem.

The research methodology is based on documentary and theoretical analysis, incorporating Georgian legislation and judicial practice, as well as standards developed by the European Court of Human Rights (ECHR). International and national academic literature, as well as court case analysis, are utilised.

The results obtained show that Georgian legislation generally reflects the requirements of the ECHR regarding the determination and extension of imprisonment terms, although deviations from these standards are frequent in national judicial practice. Of particular note is the tendency to unjustified extension of imprisonment and neglect of other alternative measures of detention, which creates legal and systemic risks.

In conclusion, it can be said that the institution of imprisonment requires structural reform at the practical level. It is recommended to harmonize national judicial practice with the standards of the Strasbourg Court, especially in terms of justification for the extension of the term of imprisonment, assessment of necessity and the use of alternative measures of detention.

The study revealed that the unjustified extension of prison terms is common in judicial practice, which violates both national legislation and the standards of the European Convention on Human Rights. The article highlights the disparity between the norm and practice, and provides recommendations for its resolution.

Keywords: Georgia, Harmonization, Convention, Implementation, Criminal prosecution.

¹ Nino_taktakishvili@ciu.edu.ge

პატიმრობის ვადების დაცვა და მათი გაგრძელების სამართლებრივი სტანდარტები

ნინო თაქთაქიშვილი
დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

პატიმრობის ვადების დაცვა და მათი გაგრძელების სამართლებრივი სტანდარტები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. აღნიშნული საკითხის კვლევა მიზნად ისახავს პატიმრობის ვადების სამართლებრივი რეგულირების, პრაქტიკისა და შესაბამისობის შეფასებას, როგორც საქართველოს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) სტანდარტების ჭრილში.

პატიმრობა წარმოადგენს ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას, რომლის არამიზნობრივად გამოყენებას თან ახლავს ადამიანის ძირითადი უფლებების შელახვის რისკი. ქართულ მართლმსაჯულებაში, ისევე როგორც საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს პატიმრობის ვადების განუსაზღვრელი გაგრძელება.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება დოკუმენტურ-თეორიულ ანალიზს და მოიცავს ქართულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას, ასევე ECHR-ის მიერ განვითარებულ სტანდარტებს. გამოყენებულია საერთაშორისო და ეროვნული აკადემიური ლიტერატურა და სასამართლო საქმეების ანალიზი.

მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ზოგადად ასახავს ECHR-ის მოთხოვნებს პატიმრობის ვადების განსაზღვრისა და გაგრძელების შესახებ, თუმცა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია სტანდარტებისგან გადახვევები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პატიმრობის დაუსაბუთებელი გაგრძელების ტენდენცია და სხვა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების უგულებელყოფა, რაც ქმნის უფლებრივ და სისტემურ რისკებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პატიმრობის ინსტიტუტი პრაქტიკულ დონეზე საჭიროებს სტრუქტურულ რეფორმას. რეკომენდირებულია ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაცია სტრასბურგის სასამართლოს სტანდარტებთან, განსაკუთრებით პატიმრობის ვადის გაგრძელების დასაბუთების, აუცილებლობის შეფასებისა და ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების თვალსაზრისით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია პატიმრობის ვადების დაუსაბუთებლად გაგრძელება, რაც არღვევს, როგორც ეროვნულ კანონმდებლობას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებს.

სტატია ასახავს დისბალანსს ნორმასა და პრაქტიკას შორის და გვთავაზობს რეკომენდაციებს მის აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ჰარმონიზაცია, კონვენცია, იმპლემენტაცია, სისხლის სამართლებრივი დევნა.

1. შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი სთავაზობს მკითხველს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების თეორიულ გადმოცემას, არამედ მათ კრიტიკულ შედარებას კონკრეტულ ქართულ სასამართლო პრაქტიკასთან. ამავდროულად, გამოყენებული შეფასებითი კრიტერიუმები ქმნის კვლევის გამეორების და გაუმჯობესების შესაძლებლობას. კვლევა გამოკვეთს იმასაც, რომ პრობლემის ძირი მხოლოდ კანონმდებლობაში კი არა, სასამართლო ინტერპრეტაციის ხარისხშიც დევს. მოცემული ნაშრომი განსხვავდება ქართული აკადემიური ლიტერატურისგან და საერთაშორისო კვლევებისგან, რომლებმაც შეისწავლეს იგივე თემა. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ზემოაღნიშნული სტატია იკვლევს ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას კონკრეტული კრიტერიუმებით და ახორციელებს არგუმენტაციის ტიპოლოგიზაციას, რაც გამოიხატება პრობლემის სტრუქტურულ ახსნასა და პრაქტიკული რეკომენდაციების გაცემაში.

პატიმრობა წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას, რომლის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში და მკაცრად განსაზღვრული ვადებით. მისი გამოყენება პირდაპირ კავშირშია პიროვნების თავისუფლების უფლებასთან, რაც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა შორის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულად მიიჩნევა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სამართალში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაარეგულიროს პატიმრობის ვადები მკაფიო, წინასწარ განსაზღვრული სამართლებრივი სტანდარტებით და უზრუნველყოს აღკვეთის ღონისძიების რეალურად გამართლებადი გამოყენება.

საქართველოში პატიმრობის ვადების საკითხი კვლავ წარმოადგენს მწვავე დისკუსიის საგანს, რაც გამოწვეულია, როგორც კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ისე პრაქტიკაში არსებული პრობლემებით, მაგალითად, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების არასაკმარისი დასაბუთებით (ძიმიგური, 2021, გვ.32-34). სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ პატიმრობის ვადების დარღვევა, გაუმართლებელი გაგრძელება და ალტერნატიული ზომების უგულებელყოფა

არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებულ უფლებას (Szafrńska, 2022, გვ. 33-36).

სტატიაში გაანალიზებული იქნება შემდეგი ძირითადი საკითხები: საქართველოს კანონმდებლობაში არსებული პატიმრობის ვადების სტრუქტურა და მათი გაგრძელების სამართლებრივი საფუძვლები; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) მიერ განსაზღვრული სტანდარტები და სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი; საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული მიდგომები და მათში არსებული პრობლემები.

კვლევის მიზანია იმ ფუნდამენტური დისბალანსის გამოვლენა, რომელიც არსებობს კანონით გათვალისწინებულ პრინციპებსა და მათ რეალურ გამოყენებას შორის. განსაკუთრებით გამახვილებული იქნება ყურადღება ევროსასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ისეთი სტანდარტების ქართულ რეალობასთან შესაბამისობაზე, როგორებიცაა აუცილებლობის პრინციპი, პატიმრობის ვადის გაგრძელების დასაბუთების ვალდებულება და ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრიორიტეტულობა (Martufi & Peristeridou, 2020, გვ. 155–158).

შესაბამისად, მოცემული ნაშრომი მნიშვნელოვანწილად ეხმიანება არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ უფლებრივ და საზოგადოებრივ პრობლემატიკას, რაც მოითხოვს, როგორც საკანონმდებლო დახვეწას, ისე მართლმსაჯულების პრაქტიკის სტრუქტურულ გაუმჯობესებას.

მიუხედავად ფორმალური სტანდარტებისა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმრობის ვადების გაგრძელება ხდება ზედაპირული არგუმენტაციით, რაც წინააღმდეგობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. სასამართლო პრაქტიკის რეალური ანალიზი აჩვენებს ამ ხარვეზების სისტემურ ხასიათს.

2. მასალები და მეთოდები

საკვლევი მასალის მეთოდოლოგია ეფუძნება შინაარსობრივ-კომპარატიულ ანალიზს. კვლევის გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად სტატიაში წარმოდგენილია 8 საქმე: 4 საქმე საქართველოს საკონსტიტუციო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებიდან, ხოლო დანარჩენი 4 საქმე - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან (ECHR) პრაქტიკიდან. ისინი მოიცავს პატიმრობის ვადების გაგრძელების არგუმენტაციის პრაქტიკას. თითოეული პრეცედენტი შეფასდა ოთხი ინდიკატორით. შერჩევა განხორციელდა თემატური კოდირებისა და დასაბუთების ხარისხის შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: დასაბუთების სიძლიერე, არგუმენტების

მრავალფეროვნება, ალტერნატივის განხილვის ხარისხი და სასამართლოს ინსტანცია. ამასთან, გამოყენებულ იქნა იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის კვლევა. წყაროები თანდართულია ბიბლიოგრაფიაში და სრულად ციტირებულია.

პრეცედენტები შეირჩა ისეთ საქმეზე, სადაც: გამოყენებული იყო სტანდარტული არგუმენტაცია (მაგ.: „დამალვის საფრთხე“); არ იყო განხილული ალტერნატიული ღონისძიება; დარღვეული იყო პატიმრობის დასაბუთების ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

წყაროების შერჩევისას გათვალისწინებული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) წამყვანი საქმეები (Buzadji, Merabishvili, Fatsuria, Tsintsabadze), რომლებიც ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 და მე-2 მუხლის სტანდარტს განსაზღვრავენ, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთაც პრაქტიკული გავლენა აქვთ ქართულ მართლმსაჯულებაზე.

კვლევის ანალიზი განხორციელდა რამდენიმე სტადიად: საკითხის დადგენა, შესაბამისი სასამართლო პრაქტიკისა და ლიტერატურის შერჩევა, შეფასების ინდიკატორების ჩამოყალიბება, შინაარსობრივი ანალიზი, არგუმენტაციის ტიპოლოგიზაცია, სისტემური პრობლემების ახლებური ინტერპრეტაცია და გამოსავლის გზების შემუშავება. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და რეპლიკაციის შესაძლებლობას.

3. შედეგების განხილვა

საკვლევი თემის შედეგად დადგინდა, რომ პირველ ინსტანციაში პატიმრობის ვადების გაგრძელების დასაბუთება ბრალდების მხარის მხრიდან ხშირად ეყრდნობა ერთსა და იმავე შაბლონურ ფრაზებს (მაგ.: „არსებობს მიმალვის საფრთხე“), ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლოები უპირატესობას ანიჭებენ კონსტიტუციურ სტანდარტებზე მინიმალურ მითითებას. გამოვლენილია ასევე განსხვავება ნარკოდანაშაულთან და ძალადობრივ დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებში. პირველ შემთხვევაში არგუმენტაცია უფრო სუსტია.

გამოკვეთილია ქართული სასამართლო პრაქტიკის ოთხი ძირითადი მოდელი: ფორმალისტური - ეფუძნება ზოგად ფრაზებს, უპირატესად გვხვდება პირველი ინსტანციის სასამართლოში; პრაგმატულ-ტექნიკური - პროცედურული მიზნებისთვის გამოყენებული პატიმრობა; საგანმანათლებლო - მიზნად ისახავს დემონსტრაციულ მკაცრ რეაგირებას; ინდივიდუალიზებული - იშვიათი, მაგრამ კონვენციურ სტანდარტთან შესაბამისი მაგალითები. აღნიშნული კლასიფიკაცია გამოკვეთს იმას, რომ სასამართლო პრაქტიკა

საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს ფორმალისტურ და მიზნობრივ პრაქტიკებს შორის ბალანსის გარეშე.

კონკრეტული ეროვნული საქმეების ანალიზმა ცხადყო, რომ პრაქტიკაში ხშირად ირღვევა საქართველოს სსკ-ის ის მუხლები, რომლებიც ვადების გაგრძელებისას ინდივიდუალურ და დასაბუთებულ მიდგომას მოითხოვს.

პოზიტიური დინამიკა შეინიშნება 2020 წლის შემდგომ ცალკეულ საქმეებში, განსაკუთრებით სააპელაციო ინსტანციაში, სადაც პატიმრობის დასაბუთება ხშირად მოიცავს ალტერნატივის განხილვას ან პიროვნების რისკის სპეციფიკაციას. მიუხედავად ამისა, პირველ ინსტანციაში კვლავ დომინირებს სტანდარტული და ზოგადი არგუმენტაცია. სისტემური ხარვეზი ყველაზე მკაფიოდ ვლინდება იმ საქმეებში, რომლებიც არ ექვემდებარება მაღალ საზოგადოებრივ ზედამხედველობას — მაგალითად, არაპოლიტიზებული, ეკონომიკური და საშუალო სიმძიმის დანაშაულის კატეგორია, სადაც მოსამართლეები იშვიათად მიმართავენ ინდივიდუალიზებულ ანალიზს.

4. პატიმრობის ვადების დაცვა და მათი გაგრძელების სამართლებრივი საფუძვლები ქართულ კანონმდებლობაში

პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი ფორმა, მოითხოვს მკაფიოდ დადგენილ სამართლებრივ საფუძვლებსა და მკაცრ ვადობრივ შეზღუდვებს. საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ კანონის მიერ დადგენილ გარემოებებში, რაც ემსახურება, როგორც საგამოძიებო მიზნებს, ასევე მართლმსაჯულების უზრუნველყოფას.

საქართველოს კანონმდებლობით, პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი დანაშაულის ჩადენაზე, ხოლო სხვა, ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს სამართლებრივი მიზნების მიღწევას (შალიკაშვილი & მიქანაძე, 2024, გვ. 148–150). მიუხედავად კანონმდებლობაში არსებული მკაცრი ფორმულირებისა, პრაქტიკაში შეინიშნება ვადების გაგრძელების მექანიზმის ფორმალისტური გამოყენება. აღნიშნული საკითხი მწვავედ დასმულია მეცნიერულ და პროფესიულ დისკურსში, სადაც ხაზგასმულია გაგრძელების დასაბუთების პრაქტიკის დეფიციტი (ძიძიგური, 2021, გვ. 34–35).

საქმეზე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიების ინტერესებზე დაყრდნობა არ არის საკმარისი, თუ არ არსებობს რეალური მტკიცებულებები (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2016, გვ. 42-43). პატიმრობის ვადის გაგრძელების საფუძვლად ხშირად ცხადდება

გამოძიების ინტერესების დაცვა ან მოწმეებზე ზემოქმედების რისკი, თუმცა სასამართლოები იშვიათად ავლენენ ამ მოსაზრებათა კონკრეტულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ განსახიერებას (Papiashvili, 2012, გვ. 344–346). საქმეზე „Buzadji v. Moldova”, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ზოგადი, შაბლონური არგუმენტები (მაგ: „დამალვის საფრთხე”) არ არის საკმარისი პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად. საჭიროა ინდივიდუალური გარემოებების დეტალების შეფასება (Annual Report, European Court Of Human Rights, 2016, Page. 179). საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებით, პატიმრობა უნდა ემყარებოდეს არა ზოგად ეჭვებს, არამედ კონკრეტულ საფრთხეებს, რაც ხშირად არ ხორციელდება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში (Popjanovski, 2015, გვ. 22–25). საქმეზე „ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ” ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება მოხდა სტანდარტული და ფორმალური არგუმენტების მოშველიებით, რაც არღვევს თავისუფლების უფლების დაცვის მოთხოვნებს. სასამართლომ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილებაში არ იყო განხილული, არც ალტერნატიული ზომების გამოყენების შესაძლებლობა და არც ინდივიდუალური რისკების დამადასტურებელი გარემოებები (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2007, გვ. 25).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებულ კვლევაში ხაზგასმულია, რომ 2019–2021 წლებში პატიმრობის გამოყენების ტენდენციაში შეინიშნება რაოდენობრივი ზრდა, რაც უკავშირდება, როგორც მართლმსაჯულების ინსტიტუციურ პრობლემებს, ისე ნაკლებად შემზღუდავი ზომების მიმართ უნდობლობას (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2021, გვ. 56–58).

კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ საქართველოს კანონმდებლობით სასამართლოს შეუძლია პატიმრობის გაგრძელება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ახალი გარემოებები ან დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხშირად განმეორებითი გადაწყვეტილებები ემყარება ერთი და იმავე არგუმენტების დუბლირებას (Papiashvili, 2011, გვ. 78–81).

განსაკუთრებით პრობლემურია პატიმრობის გასაჩივრების სააპელაციო კონტროლის პრაქტიკა. როგორც საჟურნალო მიმოხილვები აჩვენებს, ხშირია შემთხვევები, როდესაც სააპელაციო სასამართლო ზეპირად ადასტურებს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას მისივე არგუმენტაციის გამოვლინებით (Sadradze, 2022, გვ. 4–6), რაც არღვევს ევროსასამართლოს მიერ დადგენილ ობიექტური და ინდივიდუალური შეფასების მოთხოვნას.

ძირითადი კონსტიტუციურ-პრინციპული პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ პატიმრობის ვადების გაგრძელება ხშირად მექანიკურად ხდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამოძიების მიმდინარეობის დინამიკა ან საქმის სიმძიმე არ ამართლებს პირის თავისუფლების შეზღუდვის გაგრძელებას (Galagan et al., 2021, გვ. 3–5). სასამართლო კონტროლი ასეთ ვითარებაში რეალურ გარანტიას ვერ ქმნის, რასაც ადასტურებს შედარებით სამართლებრივი ანალიზებიც, სადაც საქართველოს სასამართლო პრაქტიკა მიაწინებს პატიმრობის გამოყენების სტანდარტების ფორმალიზაციაზე (Odagiu & Epure, 2024, გვ. 55–57).

გლობალურ კონტექსტში, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში მოსამართლეები პატიმრობის გაგრძელებისას იმეორებენ სტანდარტულ ფრაზებს, რაც აქცევს გადაწყვეტილებებს ნაკლებად დასაბუთებულად და არღვევს კონვენციურ ვალდებულებებს (Gaman, 2023, გვ. 3–6). აღნიშნული შეუსაბამობა აღიქმება, როგორც სისტემური ხარვეზი, რომელიც საჭიროებს სტრუქტურულ სამართლებრივ ცვლილებებს.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზით დგინდება, რომ ხშირად უგულებელყოფილია პატიმრობის ალტერნატივები, როგორიცაა გირაო, შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა (Boroi & Toma, 2020, გვ. 112–115). ასეთ პირობებში, პატიმრობის განმეორებითი გაგრძელება არღვევს პროპორციულობის პრინციპს და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან (Mihai et al., 2012, გვ. 9–11).

საგულისხმოა, რომ პატიმრობის ინსტიტუტის ეფექტური გამოყენება დაკავშირებულია არა მხოლოდ კანონმდებლობის ტექსტთან, არამედ ინსტიტუციური უნარებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხთან (Petre, 2022, გვ. 69–71).

საქმეზე „ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გიორგი ცინცაბაძის გარდაცვალება წინასწარი დაკავების იზოლაციაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იყო. სასამართლომ სიცოცხლის უფლების (მე-2 მუხლი) დარღვევა მიიჩნია, რადგან ცხედარზე აღმოჩენილი დაზიანებები ეწინააღმდეგებოდა თვითმკვლელობის ვერსიას, ხოლო გამოძიება იყო არაეფექტური და ფორმალური. საქმე ამყარებს პრინციპს, რომ პატიმრობაში მყოფი პირის სიცოცხლე და უსაფრთხოება სახელმწიფოს უპირობო პასუხისმგებლობაა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2011, გვ. 32–33).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პატიმრობის მკაფიო რეგულაციასა და ვადობრივ შეზღუდვებს, პრაქტიკა კვლავ რჩება შორს

იმ სტანდარტებისგან, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ არის ჩამოყალიბებული. შესაბამისად, აუცილებელია არა მხოლოდ ფორმალური შესაბამისობა, არამედ პრაქტიკის რეალური გარდაქმნა, რაც მოიცავს პატიმრობის გამოყენებისა და გაგრძელების ინდივიდუალურ, დასაბუთებულ და ობიექტურ შეფასებას.

5. პატიმრობის ვადების შეფასება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრაქტიკის კონტექსტში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) მდიდარი პრაქტიკა პატიმრობის საკითხზე ქმნის მკაფიო და თანმიმდევრულ სამართლებრივ სტანდარტებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლზე (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) დაყრდნობით განსაზღვრავს პატიმრობის დასაშვებობას, ვადებსა და გაგრძელების პირობებს. სტრასბურგის სასამართლო არ კმაყოფილდება მხოლოდ კანონმდებლობითი რეგულაციების ფორმალური არსებობით, არამედ განსაკუთრებით აქცენტს აკეთებს მათ პრაქტიკულ რეალიზაციაზე და ინდივიდუალური შეფასების სავალდებულობაზე (Szafránska, 2022, გვ. 33–36).

ECHR-ის თანახმად, პატიმრობა შეიძლება გახანგრძლივდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო მხარეს შეუძლია დაასაბუთოს მისი აუცილებლობა კონკრეტული გარემოებების საფუძველზე. სასამართლო ხაზგასმით აცხადებს, რომ ზოგადი მითითება „საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის“ შესახებ ვერ წარმოადგენს ვადის გაგრძელების საკმარის საფუძველს (Stevens, 2009, გვ. 293–296). პრაქტიკაში კი ხშირია შემთხვევები, როცა სახელმწიფოს არგუმენტები მკაფიოდ ვერ გადმოსცემს საჭიროებას, რის გამოც ECHR არღვევს კონვენციის მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანი პრეცედენტია *Letellier v. France*, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრობა არ შეიძლება გაგრძელდეს ავტომატურად და წინა გადაწყვეტილებების გამეორება არღვევს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს (Harris, 1970, გვ. 151–154). მსგავსი მიდგომა განმტკიცდა სხვა საქმეებშიც, სადაც დასაბუთების არარსებობა მიჩნეულ იქნა, როგორც მექანიკური და არაკონსტიტუციური პრაქტიკა.

პატიმრობის ხანგრძლივობის შეფასებისას სასამართლო იყენებს „შესაბამისი და საკმარისი არგუმენტების“ კრიტერიუმს და აქტიურად მოუწოდებს ეროვნულ ინსტანციებს გამოიყენონ ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატივები (Külçür, 2014, გვ. 201–204). ამ კონტექსტში, ECHR-ის სტანდარტები განსაკუთრებით მკაცრია ისეთ შემთხვევებში, როდესაც პატიმრობის გაგრძელება ეფუძნება მხოლოდ პროცესის ხანგრძლივობას ან მისი „სირთულის“ ზოგად განმარტებებს.

ECHR-ს პრაქტიკაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ალტერნატიული ღონისძიებების უფლებელყოფის შეფასებას. როგორც აღინიშნება, სახელმწიფო ვალდებულია დაასაბუთოს, რატომ არ არის კონკრეტულ საქმეში შესაძლებელი ნაკლებად შემზღუდავი ზომის გამოყენება (Maurer, 2017, გვ. 42–45). სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არა მხოლოდ საწყის ეტაპზე პატიმრობის გამოყენებას, არამედ მისი ყოველი გაგრძელების ცალკეულად გამართლებას.

ევროკავშირის სამართლებრივ სივრცეში მიმდინარეობს სტანდარტების ჰარმონიზაციის მცდელობები, რომელიც მიზნად ისახავს პატიმრობის გამოყენების შემცირებას და პროპორციული მიდგომების დამკვიდრებას. ავტორები ხაზს უსვამენ, რომ ევროკავშირის ფარგლებში ჯერ კიდევ გაბნეული და არათანაბარია კონკრეტული რეგულაციები, რაც ართულებს ერთიანი სტანდარტის ჩამოყალიბებას (Martufi & Peristeridou, 2020, გვ. 153–157).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთს საკითხებს, როგორიცაა პატიმრობის პირობების გავლენა დაცვის უფლების რეალიზებაზე. კვლევები მიუთითებენ, რომ არასათანადო პირობები და პროცესუალური გარანტიების შეზღუდვა პირდაპირ აისახება წარდგენილ მტკიცებულებათა ეფექტურობაზე და შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს პრინციპზე (Pleić, 2020, გვ. 114–117).

ასევე საყურადღებოა, რომ სტრასბურგის სასამართლო დროდადრო საკუთარ ძალისხმევას მიმართავს სისტემური პრობლემების აღმოსაფხვრელად. მაგალითად, რუსული სასამართლო სისტემის შეფასებისას ECHR-მა გამოსცა რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება პატიმრობის სისტემურ ბოროტად გამოყენებას და პრაქტიკაში სამომავლო რეფორმების აუცილებლობას (Parrott, 2015, გვ. 165–167).

ECHR-ის სტანდარტების ჩამოყალიბებას მნიშვნელოვანი საფუძველი შეუქმნა შედარებით კვლევებმაც, რომლებიც მიმართულია წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციისკენ. კერძოდ, ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ახდენს გავლენას წევრ ქვეყნებში კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივების ჩამოყალიბებაზე, რაც ემსახურება პატიმრობის გამოყენების სტანდარტიზაციას (Van Kalmthout & Knapen, 2009, გვ. 21–27).

ბოლოდროინდელი მიდგომებით, ყურადღება გამახვილდა იმაზეც, თუ რამდენად მიზანმიმართულად ცდილობს ECHR წევრ ქვეყნებში სტანდარტების კონსოლიდაციას და სამართლებრივი ფრაგმენტაციის აღმოფხვრას. ერთ-ერთი ამ მიზნით შესრულებული ანალიზი მიუთითებს, რომ EU სამართალშიც შეიმჩნევა პატიმრობის გამოყენების ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბების ტენდენცია (Martufi & Peristeridou, 2020, გვ. 4–6).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მკაფიოდ აყალიბებს იმ დინამიკას, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოს ევალება არა მხოლოდ პატიმრობის გამოყენება ვადების შესაბამისობაში, არამედ მისი ყოველი გაგრძელების საფუძვლიანად დასაბუთება და ალტერნატივების სავალდებულო განხილვა. აღნიშნული სტანდარტები ქმნის მყარ ჩარჩოს საქართველოს სასამართლო პრაქტიკის კრიტიკული შეფასებისთვის მომდევნო ქვეთავში.

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით გამოიკვეთა ოთხი ძირითადი ტიპის დარღვევა, რომელიც ჩნდება ქართულ საქმეებში: ზოგადი არგუმენტაცია - სტანდარტული ფრაზები მტკიცებულებების გარეშე (მაგ. „დამალვის საფრთხე“); ალტერნატივის იგნორირება - სასამართლო არ განიხილავს ნაკლებად მკაცრ ალკვეთის ღონისძიებებს; ვადების გადაჭარბება - პატიმრობა გრძელდება მიუხედავად გარემოებების ცვლილებებისა; პოლიტიკური მიზნები - თავისუფლების ალკვეთა ხდება მართლმსაჯულების ფარგლებს გარეთ. აღნიშნული ტიპოლოგია ეფუძნება საქმეებს: „ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ“, „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, „ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ“, „BUZADJI v. THE REPUBLIC OF MOLDOVA“ და ასახავს იმ სისტემურ ხარვეზებს, რომელთა გადაჭრაც არის ზემოაღნიშნული კვლევის მიზანი.

6. ეროვნული სასამართლო პრაქტიკა და პრობლემები პატიმრობის ვადების დაცვასთან დაკავშირებით

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პატიმრობის ვადების მკაცრ რეგულაციას და პროცესუალური გარანტიების მინიჭებას, პრაქტიკაში გავრცელებულია ისეთი პრობლემები, რომლებიც საყურადღებოდ აცდენილია, როგორც ადგილობრივ, ისე სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი აჩვენებს პატიმრობის გამოყენებისა და გაგრძელების მექანიზმების ხშირად ფორმალურ და მექანიკურ ხასიათს (Bokhashvili, 2025, გვ. 77–80).

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების არასაკმარისი დასაბუთება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ვალდებულია შეაფასოს პატიმრობის აუცილებლობა ინდივიდუალურად, რეალურად ხშირად ხდება სტანდარტული არგუმენტების დაკოპირება, რაც არღვევს, როგორც კონსტიტუციურ მოთხოვნებს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრინციპებს (Eremadze, 2013, გვ. 55–58).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გაჟღერებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი მიდგომა, რომელიც მიმართულია პატიმრობის ფორმალურ გამოყენებაზე რეაგირებისკენ, თუმცა საერთო სასამართლოების დონეზე აღნიშნული მიდგომების ინტეგრაცია კვლავ დაბალია (Batiashvili, 2019, გვ. 92–94).

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ხშირად იკვეთება არასრულწლოვანთა და მოწყვლადი ჯგუფების პატიმრობით უზრუნველყოფის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები სათანადოდ არ ითვალისწინებენ არასრულწლოვანთა სპეციალურ სტატუსს და საერთაშორისო სტანდარტებს (McGough & McGough, 1977, გვ. 204–206). ეს ქმნის სისტემურ გამოწვევას კონვენციური უფლებების დაცვის კუთხით.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს ე.წ. „კარუსელის მექანიზმი“, როდესაც ერთი პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ, იწყება ახალი საქმის წარმოება ან ახალი საფუძველი, რაც ფორმალურად არ არღვევს ვადების ლიმიტს, თუმცა არსობრივად იქმნება განუსაზღვრელი პატიმრობის რეალობა (Ferguson, 2022, გვ. 842–845). ასეთი მიდგომა არღვევს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა კონვენციის მოთხოვნებს, არამედ კონსტიტუციურ პრინციპსაც – იძულებითი ზომების დროებითობის შესახებ.

მიუხედავად კანონით გათვალისწინებული გირაოსა და სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებების არსებობისა, პრაქტიკაში მათი გამოყენება კვლავ მინიმალურია. კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში სასამართლოები ნაკლებად აპელირებენ ალტერნატიულ ზომებზე, რაც აიხსნება რისკების შეფასების გაუმართავი პრაქტიკით და მართლმსაჯულების ინსტიტუციური ინერციით (Picard et al., 2022, გვ. 2–4).

დამატებით პრობლემას წარმოადგენს იმ ტიპის ადმინისტრაციული პროცესები, როგორიცაა იმიგრანტთა წინააღმდეგ წარმოებული პატიმრობა, სადაც ხშირია ვადების ზედმეტად გახანგრძლივებული და არაპროპორციული გამოყენება (Eagly & Shafer, 2024, გვ. 127–130). მსგავსი პრაქტიკა აჩენს კითხვებს სასამართლოს მხრიდან ეფექტიანი კონტროლის განხორციელებაზე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ასევე პატიმრობის გაგრძელების კავშირს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის რისკთან. კვლევები მიუთითებს, რომ პრაქტიკაში შესაძლოა სწორედ ხანგრძლივი პატიმრობა იქცეს ზეწოლის ინსტრუმენტად აღიარების მისაღებად, რაც წარმოადგენს წამების აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების უხეშ დარღვევას (Levina, 2013, გვ. 109–111).

ამრიგად, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში პატიმრობის ვადების დაცვა და გაგრძელების სამართლებრივი საფუძვლების შეფასება კვლავ პრობლემურია. პრობლემები ვლინდება, როგორც დასაბუთების ხარისხში, ისე ალტერნატიული ზომების გამოყენების

მზაობაში. მიუხედავად კანონმდებლობის სახეზე არსებული პროგრესის, სისტემური პრობლემები სასამართლო პრაქტიკაში ქმნის წინააღმდეგობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოსვლის გზაზე.

7. პატიმრობის გამოყენების პროპორციულობა და ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიებების უგულებელყოფის პრობლემა

სისხლის სამართლის პროცესში თავისუფლების უფლების შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ საფუძვლებს, არამედ აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებს. აღნიშნული მოთხოვნები განსაკუთრებით აქტუალურია პატიმრობის კონტექსტში, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას, რაც გამოიყენება სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე. როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა სამართლებრივი წესრიგი ადასტურებს, რომ პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად შემზღუდავი ზომები ვერ უზრუნველყოფს გამოძიების ინტერესებს და სასამართლო პროცესის მიზნების მიღწევას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, პირის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში და იმ პირობებით, როდესაც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ჩარევა წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ და პროპორციულ გზას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ პატიმრობის გამოყენება და მით უფრო მისი გაგრძელება, საჭიროებს ინდივიდუალურ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დასაბუთებას. სასამართლო არ კმაყოფილდება ზოგადი ხასიათის მითითებებით დანაშაულის სიმძიმეზე ან პროცესის სირთულეზე, არამედ ითხოვს ისეთი გარემოებების გამოკვეთას, რომლებიც რეალურად მოწმობს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებების არასაკმარისობას (Martufi & Peristeridou, 2020, გვ. 154–156).

საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სხვადასხვა ალტერნატიულ აღკვეთის ღონისძიებებს, რომლებიც შესაძლებელი უნდა იყოს პატიმრობის ნაცვლად. აღნიშნულ ღონისძიებათა შორისაა გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2025. გვ.83). თუმცა, პრაქტიკაში მათი გამოყენების მაჩვენებელი კვლავ დაბალია, რაც მიუთითებს პრობლემაზე, როგორც სასამართლო სისტემის, ასევე მართლმსაჯულების აღსრულების ორგანიზაციულ დონეზე. კერძოდ, ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიებები რეალურ ალტერნატივად იშვიათად განიხილება, რაც ქმნის პატიმრობის სისტემური გადამეტების პირობებს. საკონსტიტუციო სასამართლომ

24.06.2022 წლის პლენუმის გადაწყვეტილებით (საქმეები N1341, N1660, თეთრიწყარო) განმარტა, რომ სასამართლო ვალდებულია გირაოს შეფარდებისას არ მიემხროს დაკავებულის პატიმრობის ავტომატურ განახლებას, არამედ ინდივიდუალურად შეაფასოს მასზე ალტერნატიული ზომების გამოყენების შესაძლო პერსპექტივა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2022. გვ.14-15). სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ავითარებს პრინციპს: პატიმრობა - არა დამსახურება, არამედ საბოლოო გამოსავალია.

საქართველოს სასამართლოებში ჩამოყალიბებულია წლების განმავლობაში დამკვიდრებული მიდგომა, რომლის თანახმადაც პატიმრობა მიიჩნევა ნორმად, ხოლო მისი ალტერნატივები – გამონაკლისად. ეს მიდგომა დაკავშირებულია, როგორც მოსამართლეთა დაბალი პრაქტიკული მზადყოფნით, ისე სამართლებრივი კულტურის პრობლემებით, სადაც პრევენციული ღონისძიება უფრო ხშირად გამოიყენება ინსტიტუციური თვითდაზღვევის მიზნით, ვიდრე რეალური რისკის მართვის ფარგლებში (Bokhashvili, 2025, გვ. 77–80). თბილისის სააპელაციო სასამართლომ 21.04.2017 წლის გადაწყვეტილებით (საქმე N1გ/566-17) განმარტა, რომ გირაოს გადაუხდელობამ არ უნდა გამოიწვიოს ავტომატურად პატიმრობის შეფარდება. სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს ბრალდებულის ეკონომიკური მდგომარეობა, გირაოს და სხვა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების ეფექტიანობა. პატიმრობა მხოლოდ უკიდურესი გამოსავალია (თბილისის სააპელაციო სასამართლო, 2017. გვ. 5.).

პროპორციულობის პრინციპი გულისხმობს არა მხოლოდ პირის სამართლებრივი სტატუსის და საქმის გარემოებების გათვალისწინებას, არამედ გამოძიების ან მართლმსაჯულების მიზნის მიღწევის შეფასებას უფრო ნაკლებად დამაზიანებელი გზით. თუმცა საქართველოში სასამართლო პრაქტიკა ხშირად არ ახდენს ამ კრიტერიუმების სისტემურ განხილვას. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ვადის გაგრძელების საფუძველად სახელდება მხოლოდ საქმის სირთულე ან დანაშაულის სიმძიმე, თუმცა არავითარი მითითება არ კეთდება, რატომ ვერ უზრუნველყოფს პროცესის მიზნების მიღწევას ალტერნატიული ღონისძიება (Pleić, 2020, გვ. 114–117). თბილისის სააპელაციო სასამართლომ 29.06.2017 წლის გადაწყვეტილებით (საქმე N1გ/895-17) განმარტა, რომ პატიმრობა არის უკიდურესი აღკვეთის ღონისძიება და მისი გამოყენება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა ზომები ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის გამოძიებასა და სასამართლო პროცესში მონაწილეობის გარანტიას (თბილისის სააპელაციო სასამართლო, 2017. გვ. 3.).

Picard და თანაავტორები (2022) ყურადღებას ამახვილებენ იმ სისტემურ პრობლემაზე, როდესაც პატიმრობა გარდაიქმნება დეფოლტ რეჟიმად სასამართლოებისთვის. ამ მიდგომის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მხრიდან დროის დეფიციტი, პრაქტიკულად დამკვიდრებული ფორმულარების გადაბარება და დამოუკიდებელი შეფასების არარსებობა. შედეგად, სასამართლოები ხშირად იღებენ

გადაწყვეტილებებს პრევენციული ღონისძიებების გამოყენების შესახებ წინასწარ არსებული მოდელების საფუძველზე, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებს (Picard, Rodriguez, & Rempel, 2022, გვ. 2–4).

საქართველოს სასამართლო სისტემის ეს მიდგომა კიდევ უფრო მწვავედ მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. მაგალითად, იმიგრანტების წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებში ხშირია პატიმრობის გამოყენება იმგვარ პირობებში, როდესაც არ არსებობს ობიექტური საფუძველი ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიებების უარყოფისთვის. Eagly და Shafer (2024) აღნიშნავენ, რომ იმიგრანტთა პატიმრობა ხშირად ეფუძნება სამართლებრივი სტატუსის გაურკვევლობას ან საზოგადოებრივი საფრთხის ზოგად აღქმას, რაც პროპორციულობის რეალურ შეფასებას აკნინებს და წარმოშობს დისკრიმინაციული პრაქტიკის რისკს (Eagly & Shafer, 2024, გვ. 127–130).

საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული აღნიშნული ხარვეზი განსაკუთრებით თვალსაჩინოა სააპელაციო პრაქტიკაშიც. ხშირია შემთხვევები, როდესაც სააპელაციო ინსტანცია ამტკიცებს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას დამატებითი დასაბუთების გარეშე, მხოლოდ იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება მიღებულია კანონიერად. ასეთი მიდგომა ხელს უშლის არამართო სასამართლო კონტროლის მექანიზმის ეფექტიანობას, არამედ არღვევს საქმეზე ინდივიდუალურად და ობიექტურად დაფუძნებული დასაბუთების სტანდარტს. აღნიშნულს ადასტურებს სხვადასხვა ანალიზი, რომელიც მიუთითებს, რომ პატიმრობის გამოყენება დიდწილად დამოკიდებულია სასამართლო ინსტანციების დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებზე (Bokhashvili, 2025, გვ. 78).

პატიმრობის პროპორციულად გამოყენების აუცილებლობას კიდევ უფრო გამოკვეთს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, სადაც არაერთხელ იქნა ხაზგასმული, რომ სახელმწიფო ვალდებულია იმსჯელოს არა მხოლოდ პატიმრობის ლეგიტიმურობაზე, არამედ იმაზე, არსებობს თუ არა სხვა, ნაკლებად შეზღუდავი საშუალება, რომელიც ეფექტიანად მისცემს სისტემას სამართლებრივი მიზნის მიღწევის საშუალებას. აღნიშნული შეფასება უნდა იყოს დინამიკური და განახლებული, რაც ნიშნავს, რომ პატიმრობის ყოველი გაგრძელება წარმოადგენს ცალკე ანალიზის საგანს, რომელიც აღარ შეიძლება დაეყრდნოს წარსულ საფუძვლებს ან ერთჯერადად შეფასებულ რისკებს (Martufi & Peristeridou, 2020, გვ. 155).

ამდენად, პატიმრობის პროპორციულობის შეფასება პრაქტიკაში რჩება ფორმალურ დონეზე. აღნიშნული მდგომარეობის გაუმჯობესება საჭიროებს როგორც კანონმდებლობის ეფექტიან იმპლემენტაციას, ასევე ინსტიტუციური კულტურის ტრანსფორმაციას. მოსამართლეების პრაქტიკული მომზადება, ინდივიდუალური შეფასების სტანდარტების დანერგვა, გადაწყვეტილებების გამჭვირვალობის ზრდა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმები

შეიძლება გახდეს ის ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიებების რეალურ გამოყენებას.

გარდა იმისა, რომ პატიმრობის პროპორციულობის არშენარჩუნება ზიანს აყენებს კონკრეტულ ინდივიდს, ის ასევე ასუსტებს სასამართლო სისტემის ლეგიტიმაციას. სამართლიანობის პრინციპის აღქმა საზოგადოებაში დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად თანმიმდევრულად და გონივრულად ახორციელებს მართლმსაჯულების სისტემა თავისუფლების უფლების შეზღუდვას. როდესაც სასამართლო არ განიხილავს ნაკლებად მკაცრ ალტერნატივებს სერიოზულად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პატიმრობა გამოყენებულია, როგორც ჩვეული ადმინისტრაციული მექანიზმი და არა, როგორც უკიდურესი ღონისძიება.

ასე რომ, პროპორციულობისა და ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიებების გამოყენების პრინციპი უნდა იქცეს არა მხოლოდ დეკლარაციად კანონმდებლობაში, არამედ უნდა გადაინაცვლოს გადაწყვეტილების მიღების ყოველდღიურ პრაქტიკაში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი თავისუფლების უფლების დაცვის რეალური გარანტირება საქართველოს სასამართლო სისტემაში და საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

6. დასკვნა

პატიმრობის ვადების დაცვა და მისი გაგრძელების სამართლებრივი სტანდარტები ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც პირდაპირ კავშირშია ადამიანის თავისუფლების უფლებასთან. სტატიის მიზანი იყო შესაბამისობის დადგენა საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს და სასამართლო პრაქტიკის იმ სტანდარტებთან, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრაქტიკით და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებით არის განსაზღვრული.

თანამედროვე ქართულ სასამართლო სისტემაში პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა ახალი ტიპის პრობლემატიკა: ფორმალური, შინაარსს მოკლებული დასაბუთება; ალტერნატიული ღონისძიებების იგნორირება; ინსტიტუციური მიდგომების ინერცია და სასამართლოს მხრიდან ფაქტობრივი ანალიზის დეფიციტი. ეს ტენდენციები უკვე აღარ არის მხოლოდ ტექნიკური ხარვეზი, არამედ სისტემური საკითხია, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტებს და აჩენს სასამართლო რეფლექსიის გაღრმავების აუცილებლობას.

ზემოაღნიშნული პრობლემატიკა ახლებურად იხსნება იმით, რომ საკითხი არ შემოიფარგლება მხოლოდ სამართლებრივი რეგულაციების ან ადამიანური რესურსების დეფიციტით. დღევანდელი პრაქტიკა ასახავს ინსტიტუციურ კულტურას, სადაც

არგუმენტაცია განიხილება, როგორც ფორმალობა და არა ანგარიშვალდებულების რეალური ინსტრუმენტი. სასამართლო სისტემის ქცევა ხშირად განპირობებულია არა იურიდიული გაუმართაობით, არამედ სტრუქტურული შიშით — შეცდომის დაშვების შემთხვევაში პასუხისმგებლობის თავიდან აცილების სურვილით.

არსებული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია ხისტად იურიდიული რეაგირების ნაცვლად, შეიქმნას არგუმენტაციის პრაქტიკული სტანდარტი – სასამართლოებისთვის გზამკვლევი, რომელიც განსაზღვრავს დასაბუთების ხარისხის მინიმალურ კომპონენტებს. მოსამართლეთა ტრენინგი კი უნდა გადავიდეს პრაქტიკულ რეჟიმზე, სადაც განხილულ იქნება რეალური მაგალითები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების განჭვრეტა. დამატებით, საჭიროა დამოუკიდებელი შიდა მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა, რომელიც სისტემურად შეაფასებს გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხს და იმუშავებს, როგორც უკუკავშირის ინსტრუმენტი, არა დასჯის, არამედ გაუმჯობესების მიზნით.

ECHR-ის სტანდარტების საფუძველზე ნათლად იკვეთება, რომ პატიმრობა დაუშვებელია გახანგრძლივდეს მხოლოდ სამართალწარმოების ავტომატური ინტერესებით – თითოეული გაგრძელება უნდა იყოს მკაფიოდ დასაბუთებული და მხედველობაში უნდა იღებდეს ნაკლებად შემზღუდავი აღკვეთის ღონისძიების არსებობას. სტრასბურგის სასამართლო ხაზგასმით მოითხოვს პროპორციულობის, აუცილებლობის და ინდივიდუალური ანალიზის პრინციპების დაცვის გარანტიას.

ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას, სამწუხაროდ, გააჩნია სტრუქტურული პრობლემები, რაც იჩენს თავს, როგორც პროცესუალური უფლებების არასათანადო რეალიზაციაში, ისე პატიმრობის გამოყენების გახშირებაში მიუხედავად ალტერნატივების ღონისძიებების არსებობისა. საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებები ცხადყოფს სისტემური ხარვეზების არსებობას, თუმცა მათი ინტეგრაცია ზოგად სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ შეზღუდულია.

ამრიგად, სტატიაში განხილული მასალებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საჭიროა არა მხოლოდ კანონმდებლობის დახვეწა, არამედ მართლმსაჯულების პრაქტიკის გარდაქმნა. ეს მოიცავს: პატიმრობის გამოყენებისა და გაგრძელების ინდივიდუალური დასაბუთების ინსტიტუციურ გაძლიერებას; კონვენციური სტანდარტების ინტერპრეტაციის კუთხით მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებას; ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკის წახალისებას; სასამართლო კონტროლის მექანიზმების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

ადნიშნული ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს საქართველოში თავისუფლების უფლების რეალურ დაცვას და წახალისებს იმ სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოთხოვნებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებული სამართლებრივი პრაქტიკა საჭიროებს სიღრმისეულ რეფორმას. კონკრეტულად, უნდა დაინერგოს აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების დასაბუთების სტანდარტების ინდივიდუალური შაბლონები, მოხდეს მოსამართლეების გადამზადება ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით და შემუშავდეს სასამართლო მონიტორინგის სისტემა, რომელიც პერიოდულად შეაფასებს გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხს.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ძიძიგური, ნ. (2021). სამართლიანი სასამართლოს უფლება და წინასწარი პატიმრობის ვადები. *Justice and Law*. გვ. 32-34.
2. შალიკაშვილი, მ., & მიქანაძე, გ. (2024). სასჯელაღსრულების სამართალი (მეორე გამოცემა). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 148–150.
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. (2021). შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი. N4. გვ. 56-58.
4. Papiashvili, L. (2012). Right to Freedom and Security: Myth or Reality. *Conference Proceedings on Quality of Legal Acts*. p. 344–346.
5. Popjanovski, J. (2015). Retribution and the Rule of Law: The Politics of Justice in Georgia. *Silk Road Studies*. p. 22–25.
6. Papiashvili, L. (2011). International-Legal Standards for Application of Procedural Coercive Measures Restricting Freedom. *Constitutional Law Review*, 4. P. 78-81.
7. Sadradze, T. (2022). Inappropriateness of Prohibiting Appealing an Arrest Warrant. *Tbilisi State University Journal of Law*. p. 4-6.
8. Galagan, V., Ablamskyi, S., Udovenko, Z., & Ablamska, V. (2021). Judicial Control as a Guarantee of Non-Interference in Private Life During the Pre-Trial Investigation: An Observation Under the European Court of Human Rights. *National University of Kyiv-Mohyla Academy*. p. 3-5.
9. Odagiu, I., & Epure, G. (2024). Recourse against Decisions to Apply or Extend Pre-Trial Detention. *Institutul de Științe ale Educației*. p. 55-58.
10. Gaman, T. (2023). Pre-trial Detention. Motion for Pre-trial Detention. *Eximia Journal*. p. 3-6. Retrieved from <https://doi.org/10.47577/eximia.v1i1l.318>
11. Boroi, A., & Toma, G. (2020). About the Appeal over the Duration of Criminal Proceedings. *CEEOL*. p. 112–115.
12. Mihai, D., Andreescu, M. N., Szabo, A., & Badea, M. (2012). In Pre-trial Detention: A Human Rights Issue. *Academia.edu*. p. 9–11.
13. Petre, M. G. (2022). The Importance of Pre-trial Chamber in Criminal Proceedings. *Procedure and Controversial Issues. CKS Conference Proceedings*. p. 69–71
14. Harris, D. J. (1970). Recent cases on pre-trial detention and delay in criminal proceedings in the European Court of Human Rights. *Baltic Yearbook of International Law*.
15. Stevens, L. (2009). Pre-trial detention: The presumption of innocence and Article 5 of the European Convention on Human Rights cannot and do not limit its increasing use. *European Criminal Law Review*.

16. Szafrńska, U. (2022). Excessive Length of Pretrial Detention in the Light of Jurisprudence of the European Court of Human Rights. *Polish Review of International and European Law*. p. 33-36.
17. Külçür, E.İ. (2014). Duration of detention and right to trial within a reasonable time in scope of European Court of Human Rights.
18. Maurer, F. (2017). Release from pre-trial detention in theory and practice in modern international criminal justice in the light of International and European Human Rights.
19. Martufi, A., & Peristeridou, C. (2020). The purposes of pre-trial detention and the quest for alternatives. *European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice*, 28(2), p.153–157.
20. Pleić, M. (2020). Procedural rights of suspects and accused persons during pre-trial detention – impact of detention conditions on the efficient exercise of defence rights. *EU and Comparative Law Issues and Challenges Series*. p. 114-117.
21. Parrott, L. (2015). Tools of persuasion: the efforts of the Council of Europe and the European Court of Human Rights to reform the Russian pre-trial detention system. *Problems of Post-Communism*, 62 (3), p.164–176. Retrieved from <https://doi.org/10.1080/1060586X.2014.922336>
22. Van Kalmthout, A. M., & Knapen, M. M. (2009). Pre-trial detention in the European Union. Max Planck Institute. p. 21-27.
23. Martufi, A., & Peristeridou, C. (2020). Pre-trial detention and EU law: Collecting fragments of harmonisation within the existing legal framework. *European Papers – European Forum*. p. 155–158.
24. Bokhashvili, I. (2025). The Role of the Constitutional Court of Georgia in Aligning Criminal Procedure Legislation with European Standards. *L'Europe Unie*. p.77-80.
25. Eremadze, K. (2013). Topical Problems Related to Legal Effect of Decision of the Constitutional Court of Georgia. *Constitutional Law Review*. p. 55-58.
26. Batiashvili, I. (2019). Procedural Rights in Accordance with the Western Values. *Law and World*. p. 92-94
27. McGough, L. S., & McGough, B. B. (1977). Juvenile Court Practice and Procedure. *Mercer Law Review*. p. 204-206.
28. Ferguson, A. G. (2022). Courts without court. *Vanderbilt Law Review*. p. 842-845.
29. Picard, S., Rodriguez, K., & Rempel, M. (2022). Moving past arbitrary bail: A proposal for more deliberative pretrial decision-making. *Federal Probation*. p. 2-4
30. Eagly, I., & Shafer, S. (2024). Detained Immigration Courts. *California Law Review*. p. 127-130
31. Levina, P. (2013). Links between criminal justice procedure and torture: learning from Russia. *New Criminal Law Review*. Retrieved from <https://doi.org/10.1525/nclr.2013.16.1.104>

სასამართლო პრაქტიკა

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის N72508/13 გადაწყვეტილება საქმეზე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“. გვ. 42-43.
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 6 ნოემბრის N30779/04 გადაწყვეტილება საქმეზე „ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ“. გვ. 25.
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის N23755/07 გადაწყვეტილება საქმეზე „BUZADJI v. THE REPUBLIC OF MOLDOVA“. Page. 179.
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 11 თებერვლის №35403/06 გადაწყვეტილება საქმეზე „ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ“. გვ. 32-33.
5. საკონსტიტუციო სასამართლოს 24.06.2022 წლის გადაწყვეტილება N3/5/1341,1660. გვ. 14-15.
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.04.2017 წლის გადაწყვეტილება N1გ/566-17. გვ. 5.
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.06.2017 წლის გადაწყვეტილება N1გ/895-17. გვ. 3.

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 04.06. 2025. 199-ე მუხლი, გვ.83.